

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი



საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა
(კატალოგი)

თბილისი 2023 წელი

სარჩევი

1. ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ -----	3
2. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა --	4
3. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი) -----	9
4. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა-----	15
5. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა-----	18
6. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამა-----	21
7. ჯანდაცვის ეკონომიკის და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა-----	24
8. ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა-----	26

ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ

სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი არის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. მისი დამფუძნებელი და რექტორია – პროფესორი მარინა ფირცხალავა. უნივერსიტეტი ფუნქციონირებს 1998 წლიდან და წარმატებით ახორციელებს უმაღლესი განათლების აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

უნივერსიტეტის მიზნებია საგანმანათლებლო სფეროში ეროვნული და ზოგად-საკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი და უწყვეტი განათლების განვითარება. უნივერსიტეტის მთავარი ამოცანაა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტის მომზადება და ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო მომსახურების პროფესიული და ეთიკური სტანდარტების მქონე სამედიცინო საქ-მიანობის წარმართვა.

უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი-სათვის შექმნილია სწავლისთვის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისთვის კომფორტული გარემო კეთილმოწყობილი აუდიტორიებით, მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიებით და თანამედროვე კლინიკური ბაზებით. უნივერსიტეტს გააჩნია ბეჭდური და ელექტრონული რესურსებით მდიდარი ბიბლიოთეკა, აქვს უფასო წვდომა სამეცნიერო ბაზებთან (EBSCO, SCOPUS), სადაც ინტეგრირებულია ათასობით სამეცნიერო პუბლიკაცია. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს წარმართავს ქართველი და უცხოელი მაღალკვალიფიციური პერსონალი, რომელიც სტუდენტებს მაღალპროფესიულ დონეზე გადასცემს ღრმა და ფუნდამენტურ ცოდნას. ამ ცოდნით აღჭურვილი კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ მოღვაწეობას ქვეყნის წამყვან კლინიკებსა თუ სამედიცინო დაწესებულებებში, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

უნივერსიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, მეფესოლომონ II -ის ქუჩა № 4,

0114 ტელეფონი : რექტორის მისაღები (ფაქსი)-(+995 032) 275-24-59

ელ-ფოსტა : info@geomedi.edu.ge

ვებგვერდი: www.geomedi.edu.ge

საკონტაქტო პირი: თამარ სოზიაშვილი - (+995 032) 275-25-20

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი მარიამ ველიჯანაშვილი
თანახელმძღვანელი - მედიცინის დოქტორი ვოლფ ქრისტოფერ იოჰანეს ალფრედ
(გერმანია)

პროგრამის კონსულტანტები: ფრანკ სკორჯი რეიმი (აშშ; მინესოტას უნივერსიტეტის
პროფესორი); უილლიამ ა. ტოსკანო (აშშ, მინესოტას უნივერსიტეტის პროფესორი)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - დიპლომირებული
მედიკოსი პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 360

კრედიტი სწავლების ენა - ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება ეძლევა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც გაივლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას, აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირებს უნივერსიტეტის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქის ქართული ენის ცოდნის კომპეტენციის დონის დასადგენად ორგანიზებული გამოცდის (რომელიც მოიცავს: მოსმენას, წაკითხული ტექსტის გააზრებასა და ანალიზს, საუბარს) შედეგად დადასტურებული ცოდნის (B1 დონე) ან ქართული ენის B1 დონის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

პროგრამის სტრუქტურა:

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა არის 6-წლიანი. სწავლება მოიცავს 360 კრედიტს; 330 კრედიტი სავალდებულოა, აქედან:

სპეციალობის საბაზისო სავალდებულო კურსები: 17 კრედიტი

სპეციალობის საბაზისო სავალდებულო ინტეგრირებული კურსები: 62 კრედიტი

სპეციალობის პრეკლინიკური სავალდებულო ინტეგრირებული კურსები: 51

კრედიტი სპეციალობის კლინიკური სავალდებულო: 157 კრედიტი

სპეციალობის სავალდებულო კურსები: 30 კრედიტი

სამეცნიერო უნარ - ჩვევების სავალდებულო: 13

კრედიტი თავისუფალი არჩევითი კურსები: 30

კრედიტი

1კრ = 25 აკადემიური საათი.

ერთი აკადემიური წელი: 42 კვირა.

სემესტრის ხანგრძლივობა: 21 კვირა (მათ შორის: სასწავლო -15; სასესიო -4; დამატებითი გამოცდები -2).

VII, VIII, IX, X, XI, XII სემესტრები – კურაციული სისტემით სწავლება.

კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობა - დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია ენიჭება პირს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას დააგროვებს არანაკლებ 360 კრედიტს.

პროგრამის მიზნები:

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რაც გულისხმობს კონკურენტუნარიანი კვალი- ფიკაციური კადრის მომზადებას, რომელიც ადვილად დასაქმდება, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე თავისი კვალიფიკაციის შესაბამისად.

პროგრამის ამოცანებია კურსდამთავრებულთა პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება, რაც გულისხმობს დარგის თეორიული ცოდნის შეძენას, მეცნიერული და კლინიკური უნარ-ჩვევების, ექიმის პროფესიისთვის სავალდებულო ეთიკური ღირებულებებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას, შემდგომ პროფესიულ განვითარებას, რეზიდენტურასა და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებას, რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადება) კურსის გავლას, კვლევითი საქმიანობის განხორციელებას მედიცინის თეორიულ დარგებსა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროებში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას.

კურსდამთავრებულს აქვს მედიცინის დარგში ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრების უნარი, პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა, რუტინული სამედიცინო/სტომატოლოგიური გამოკვლევების, დიფ. დიაგნოზის ჩატარების, დაავადების მართვის ცოდნა, რომელიც მოიცავს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის.

კურსდამთავრებულს აქვს დარგობრივი ცოდნა რაც მოიცავს ბიო სამედიცინო, ქცევით, სოციალურ, კლინიკური მეცნიერებებს და დარგის ფუნდამენტურ პრინციპებს. კურსდამთავრებულს აქვს დარგობრივი უნარები, რაც მოიცავს:

1. პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევას

2. კლინიკური შემთხვევების შეფასების, გამოკვლევების დანიშვნის, დიფ. დიაგნოზის ჩატარების, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობის უნარი
3. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის დროს დახმარების გაწევის (პირველადი დახმარებისა და სარეანიმაციო ღონისძიებების გაწევის) უნარი, პრიორიტეტულობის განსაზღვრის უნარი
4. მედიკამენტების გამოწერის უნარი
5. პრაქტიკული პროცედურების ჩატარების უნარი
6. სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაციის უნარი
7. სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენების უნარი
8. პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასების უნარი
9. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენების უნარი
10. სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება
11. სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიო მედიცინის სამეცნიერო პრინციპების მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება
12. ჯამრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა
13. პროფესიონალიზმი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

დამოუკიდებლად პაციენტის კონსულტირება, დამოუკიდებლად კლინიკური შემთხვევების შეფასება და გამოკვლევების დანიშვნა, დიფ. დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ პასუხისმგებლობის აღება, ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებით სამედიცინო პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებლობის აღება, პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქო-სოციალური ასპექტების დამოუკიდებლად შეფასება, მიუკერძოებლად და ეთიკის პრინციპების დაცვით სამედიცინო პრაქტიკის განხორციელება, როგორც გუნდთან ასევე ავტონომიურად მუშაობა, კრეატიული აზროვნება, ინიციატივების წამოყენება, მულტი-დისციპლინალურ გუნდში მუშაობა, საკუთარი შესაძლებლობების ზღვრის გააზრება, დახმარების მოძიების პასუხისმგებლობა, მუდმივ თვითგანვითარება და სიცოცხლის მანძილზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, პრაქტიკის ყველა ასპექტში შესაბამისი პროფესიული ქცევები და ურთიერთობები, პატიოსნება, კეთილსინდისიერება, თავმდაბლობა, პასუხისმგებლიანობა, თანაგრძნობა, პატივისცემა, ალტრუიზმი, განსხვავებულობის პატივისცემა და კონფიდენციალობის დაცვა, პასუხისმგებლიანობა მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდების და კომპეტენციის შენარჩუნების მიმართ, პრაქტიკული შემთხვევის ეთიკური საკითხების გაცნობიერება და განხილვა, ინტერესთა კონფლიქტის გაცნობიერება და მართვა, პროფესიული ქცევა კომუნიკაციური ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებისას, სხვადასხვა შიდა და გარე მონაცემთა წყაროების გამოყენებით საკუთარი ქმედებების რეგულარული განსჯა და შეფასება სწავლებისა და ცოდნის სრულყოფის შესაძლებლობათა გამოსავლენად, ურთიერთობს პაციენტზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებით, რაც ხელს უწყობს პაციენტში ნდობის და ავტონომიურობის განცდას და ხასიათდება როგორც ემპათია, პატივისცემა და თანაგრძნობა, ფლობს ფიზიკური

გარემოს ოპტიმიზაციის უნარს პაციენტის კომფორტის, ღირსების, პრივატულობის, ჩართულობისა და უსაფრთხოებისათვის, აცნობიერებს სიტუაციებს, როცა ღირებულებებს, შეცდომებს ან პაციენტთა, ექიმთა და ჯანდაცვის სხვა მუშაკთა თვალსაზრისს შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ პაციენტის მოვლის ხარისხზე და შესაბამისად ცვლის პაციენტთან მიდგომას, ცოდნის, ტექნოლოგიების და მეთოდოლოგიების ინოვაციური გამოყენება, თვითდაჯერებულობა, ინიციატივა და პრაგმატიზმი, მოკლე და გრძელვადიანი კარიერული და პერსონალური გეგმები, მიზანსწრაფვა და მუშაობა დასახული მიმართულებით რეალისტური განვითარების გეგმითა და შესაბამისი აქტივობებით, ექიმებსა და სხვა კოლეგებთან პოზიტიური ურთიერთობები პაციენტის კოლაბორაციული მართვის ხელშეწყობისთვის, მონაწილეობა პროფესიულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პროფესიული და სხვა სამუშაო ჩარჩოთა გამოყენებით, გადამფარავი და საერთო მოვალეობების შეთანხმება ექიმებსა და ჯანდაცვის სისტემის სხვა კოლეგებთან პაციენტის ეპიზოდურ და მიმდინარე მართვაში, ექიმებსა და სხვა კოლეგებთან ერთად საერთო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა, თანამშრომლების მიმართ პატივისცემა, ურთიერთგაგების, განსხვავებათა მართვის და კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები კოლაბორაციული კულტურის ხელშეწყობისათვის, პაციენტის სხვა სპეციალისტთან, სხვა გარემოსა და მართვის სხვა საფეხურზე უსაფრთხო გადაბარებისთვის ვერბალური და წერილობითი კომუნიკაცია. განსაზღვრავს, როდის უნდა გადავიდეს პაციენტის მართვა სხვა ექიმს ან სხვა სპეციალისტთან, აცნობიერებს საკუთარი ექსპერტიზის ფარგლებს და დემონსტრირებას უკეთებს პაციენტის ოპტიმალური მოვლისთვის სხვა პროფესიონალის ჩართვის საჭიროებას; ეფექტური, შესაბამისი და დროული კონსულტაციისთვის, პრობლემის განსაზღვრა, ანალიზი და მონაცემთა ინტერპრეტაცია, ინფორმაციულ და პერსონალურ შეზღუდვებთან გამკლავება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით; „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით“ განსაზღვრული შეფასების სისტემით, რომელიც გულისხმობს:

- a) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91 –100 ქულა;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის სემესტრულ შეფასებას განსაზღვრავს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამი და შეადგენს 100 ქულას.

საბოლოო შეფასება ითვალისწინებს ორ შემადგენელ ელემენტს - შუალედურ და დასკვნითი შეფასებებს. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში, რომელსაც თავად განსაზღვრავს პედაგოგი (1)70/30 ან (2) 60/40), რაც იმას ნიშნავს რომ პირველ შემთხვევაში შუალედური შეფასება მოიცავს საბოლოო შეფასების 70%, ხოლო დასკვნითი შეფასება 30%, მეორე შემთხვევაში, შუალედურ შეფასებას ეთმობა მთლიანი შეფასების 60%, ხოლო დასკვნითს 40%.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად (შუალედური გამოცდა, აქტიურობა სემინარზე/პრაქტიკულზე, პრეზენტაცია, ქვიზი, სიტუაციური ამოცანები, ესსე, და ა.შ) ამ კომპონენტების შეფასების პროცენტულ მაჩვენებელს საგნის პედაგოგი საზღვრავს თავად გარდა შუალედური გამოცდისა, რომელიც წარმოადგენს შუალედური შეფასების აუცილებელ კომპონენტს (გამონაკლის წარმოადგენს კლინიკური უნარებისა და კლინიკაში პრაქტიკის შეფასება) და მისი პროცენტული მაჩვენებელი (1)70/30- შემთხვევაში უნდა იყოს 35 ქულა, ხოლო (2) 60/40)- შემთხვევაში 30 ქულა.

შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა დასკვნითი გამოცდაზე გასვლის არის შუალედური შეფასების მინიმუმ 50%.

დასკვნითი გამოცდა, დასკვნითი შეფასების აუცილებელი პირობაა. დასკვნითი გამოცდის გადალახვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%+1-ია, ნაკლების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შეფასება ნულდება და თუ სტუდენტის ქულა 41-50 ქულამდე მერყეობს, მას ეძლევა დასკვნითი გამოცდის გადაბარების უფლება, ხოლო თუ სტუდენტის ქულა ნაკლებია

41-ზე, ის ვალდებულია საგანი ხელმეორედ გაიაროს. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტის შუალედური შეფასება ტოლია ან მეტია 51 ქულის, სტუდენტი ვალდებულია დასკვნითი გამოცდაზე გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში საგანი ჩაბარებულად არ ჩაითვლება.

სტუდენტს უფლება აქვს დამატებითი გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ. შეფასების კომპონენტებს კურსის ხელმძღვანელი ირჩევს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს უმცროს ექიმად, რომელიც ასრულებს ექიმის ფუნქციას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სუბიექტის მითითებითა და პასუხისმგებლობით (საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ მ.5). საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს: ა) გაიაროს რეზიდენტურის კურსი (საქართველოში ან საზღვარგარეთ ექვივალენტურ პროფესიულ პროგრამაზე, რომელიც აღიარებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით) და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერთიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება (საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ მ.17). ბ) გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში, დაკავდეს პედაგოგიური ანდა სამეცნიერო საქმიანობით. გ) დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროს ორგანიზაციებში, რომელიც არ მოითხოვს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას.

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

პროგრამის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი მარიამ ველიჯანაშვილი

თანახელმძღვანელი - მედიცინის დოქტორი ვოლფ ქრისტოფერ იოჰანეს ალფრედ (გერმანია)

პროგრამის კონსულტანტები: ფრანკ სკორჯი რეიმი (აშშ; მინესოტას უნივერსიტეტის პროფესორი); უილიამ ა. ტოსკანო (აშშ, მინესოტას უნივერსიტეტის პროფესორი)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - დიპლომირებული მედიკოსი პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 360

კრედიტი სწავლების ენა - ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

One Step Undergraduate Educational Program for MD can be attended by a person holding a state certificate confirming the completion of full basic educational level (National School Leaving Certificate) or its equivalent, who will pass the Unified National Examination and based on the obtained scores, will gain the right to study at university on the specialty of medicine, or the applicants under the Law of Georgia on Higher Education, Article 52, para 3.

Admission of foreign citizens is regulated according to legislation established by the Ministry of Education and Science of Georgia. In accordance with the law of Georgia on Higher Education, Article 52, para 3, foreign citizen candidates seeking for admission to educational program are required to hold the document certifying the knowledge of English (not less than B1 level), by internationally recognized certificate (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNICert®, EnglishScore etc.)

Or

Present the document certifying the education covered in English language for foreign citizens (e.g. school leaving certificate, college diploma etc.), also Georgian citizens, having covered the full basic education in English abroad, or its equivalent, who have studied last 2 years at the basic education level abroad, must present respective document certifying the latter (e.g. school leaving certificate, college diploma etc.)

Or

Pass the exam organized by the university for foreign citizen candidate, certifying the knowledge competency level in English, minimum at the abovementioned (B1) level (exam must include the following components: listening, reading and reasoning / analysis of the text, speaking).

პროგრამის სტრუქტურა:

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა არის 6-წლიანი. სწავლება მოიცავს 360 კრედიტს; 330 კრედიტი სავალდებულოა, აქედან:

სპეციალობის საბაზისო სავალდებულო კურსები: 17 კრედიტი

სპეციალობის საბაზისო სავალდებულო ინტეგრირებული კურსები: 62 კრედიტი

სპეციალობის პრეკლინიკური სავალდებულო ინტეგრირებული კურსები: 51

კრედიტი სპეციალობის კლინიკური სავალდებულო: 157 კრედიტი

სპეციალობის სავალდებულო კურსები: 30 კრედიტი

სამეცნიერო უნარ - ჩვენების სავალდებულო: 13 კრედიტი თავისუფალი არჩევითი კურსები: 30 კრედიტი

1კრ = 25 აკადემიური საათი.

ერთი აკადემიური წელი: 42 კვირა.

სემესტრის ხანგრძლივობა: 21 კვირა (მათ შორის: სასწავლო -15; სასესიო -4; დამატებითი გამოცდები -2).

VII, VIII, IX, X, XI, XII სემესტრები – კურაციული სისტემით სწავლება.

კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობა - დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია ენიჭება პირს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას დააგროვებს არანაკლებ 360 კრედიტს.

პროგრამის მიზნები:

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რაც გულისხმობს კონკურენტუნარიანი კვალი- ფიკაციური კადრის მომზადებას, რომელიც ადვილად დასაქმდება, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე თავისი კვალიფიკაციის შესაბამისად.

პროგრამის ამოცანებია კურსდამთავრებულთა პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება,

რაც გულისხმობს დარგის თეორიული ცოდნის შექმნას, მეცნიერული და კლინიკური უნარ-ჩვევების, ექიმის პროფესიისთვის სავალდებულო ეთიკური ღირებულებებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას, შემდგომ პროფესიულ განვითარებას, რეზიდენტურასა და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებას, რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადება) კურსის გავლას, კვლევითი საქმიანობის განხორციელებას მედიცინის თეორიულ დარგებსა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროებში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას.

კურსდამთავრებულს აქვს მედიცინის დარგში ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრების უნარი, პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა, რუტინული სამედიცინო/სტომატოლოგიური გამოკვლევების, დიფ. დიაგნოზის ჩატარების, დაავადების მართვის ცოდნა, რომელიც მოიცავს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის.

კურსდამთავრებულს აქვს დარგობრივი ცოდნა რაც მოიცავს ბიო სამედიცინო, ქცევით, სოციალურ, კლინიკური მეცნიერებებს და დარგის ფუნდამენტურ პრინციპებს.

კურსდამთავრებულს აქვს დარგობრივი უნარები, რაც მოიცავს:

1. პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევას
2. კლინიკური შემთხვევების შეფასების, გამოკვლევების დანიშვნის, დიფ. დიაგნოზის ჩატარების, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობის უნარი
3. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის დროს დახმარების გაწევის (პირველადი დახმარებისა და სარეანიმაციო ღონისძიებების გაწევის) უნარი, პრიორიტეტულობის განსაზღვრის უნარი
4. მედიკამენტების გამოწერის უნარი
5. პრაქტიკული პროცედურების ჩატარების უნარი
6. სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაციის უნარი
7. სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენების უნარი
8. პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასების უნარი
9. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენების უნარი
10. სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება
11. სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიო მედიცინის სამეცნიერო პრინციპების მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება
12. ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა
13. პროფესიონალიზმი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

დამოუკიდებლად პაციენტის კონსულტირება, დამოუკიდებლად კლინიკური შემთხვევების შეფასება და გამოკვლევების დანიშვნა, დიფ. დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ პასუხისმგებლობის აღება, ეთიკური და სამართლებრივი

პრინციპების გათვალისწინებით სამედიცინო პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებლობის აღება, პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქო-სოციალური ასპექტების დამოუკიდებლად შეფასება, მიუკერძოებლად და ეთიკის პრინციპების დაცვით სამედიცინო პრაქტიკის განხორციელება, როგორც გუნდთან ასევე ავტონომიურად მუშაობა, კრეატიული აზროვნება, ინიციატივების წამოყენება, მულტი-დისციპლინალურ გუნდში მუშაობა, საკუთარი შესაძლებლობების ზღვრის გააზრება, დახმარების მოძიების პასუხისმგებლობა, მუდმივ თვითგანვითარება და სიცოცხლის მანძილზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, პრაქტიკის ყველა ასპექტში შესაბამისი პროფესიული ქცევები და ურთიერთობები, პატიოსნება, კეთილსინდისიერება, თავმდაბლობა, პასუხისმგებლიანობა, თანაგრძნობა, პატივისცემა, ალტრუიზმი, განსხვავებულობის პატივისცემა და კონფიდენციალობის დაცვა, პასუხისმგებლიანობა მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდების და კომპეტენციის შენარჩუნების მიმართ, პრაქტიკული შემთხვევის ეთიკური საკითხების გაცნობიერება და განხილვა, ინტერესთა კონფლიქტის გაცნობიერება და მართვა, პროფესიული ქცევა კომუნიკაციური ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებისას, სხვადასხვა შიდა და გარე მონაცემთა წყაროების გამოყენებით საკუთარი ქმედებების რეგულარული განსჯა და შეფასება სწავლებისა და ცოდნის სრულყოფის შესაძლებლობათა გამოსავლენად, ურთიერთობს პაციენტზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებით, რაც ხელს უწყობს პაციენტში ნდობის და ავტონომიურობის განცდას და ხასიათდება როგორცემპათია, პატივისცემა და თანაგრძნობა, ფლობს ფიზიკური გარემოს ოპტიმიზაციის უნარს პაციენტის კომფორტის, ღირსების, პრივატულობის, ჩართულობისა და უსაფრთხოებისათვის, აცნობიერებს სიტუაციებს, როცა ღირებულებებს, შეცდომებს ან პაციენტთა, ექიმთა და ჯანდაცვის სხვა მუშაკთა თვალსაზრისს შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ პაციენტის მოვლის ხარისხზე და შესაბამისად ცვლის პაციენტთან მიდგომას, ცოდნის, ტექნოლოგიების და მეთოდოლოგიების ინოვაციური გამოყენება, თვითდაჯერებულობა, ინიციატივა და პრაგმატიზმი, მოკლე და გრძელვადიანი კარიერული და პერსონალური გეგმები, მიზანსწრაფვა და მუშაობა დასახული მიმართულებით რეალისტური განვითარების გეგმითა და შესაბამისი აქტივობებით, ექიმებსა და სხვა კოლეგებთან პოზიტიური ურთიერთობები პაციენტის კოლაბორაციული მართვის ხელშეწყობისთვის, მონაწილეობა პროფესიულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პროფესიული და სხვა სამუშაო ჩარჩოთა გამოყენებით, გადამფარავი და საერთო მოვალეობების შეთანხმება ექიმებსა და ჯანდაცვის სისტემის სხვა კოლეგებთან პაციენტის ეპიზოდურ და მიმდინარე მართვაში, ექიმებსა და სხვა კოლეგებთან ერთად საერთო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა, თანამშრომლების მიმართ პატივისცემა, ურთიერთგაგების, განსხვავებათა მართვის და კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები კოლაბორაციული კულტურის ხელშეწყობისათვის, პაციენტის სხვა სპეციალისტთან, სხვა გარემოსა და მართვის სხვა საფეხურზე უსაფრთხო გადაბარებისთვის ვერბალური და წერილობითი კომუნიკაცია. განსაზღვრავს, როდის უნდა გადავიდეს პაციენტის მართვა სხვა ექიმსა ან სხვა სპეციალისტთან, აცნობიერებს საკუთარი ექსპერტიზის ფარგლებს და დემონსტრირებას უკეთებს პაციენტის ოპტიმალური მოვლისთვის სხვა პროფესიონალის ჩართვის საჭიროებას; ეფექტური, შესაბამისი და დროული კონსულტაციისთვის, პრობლემის განსაზღვრა, ანალიზი და მონაცემთა ინტერპრეტაცია, ინფორმაციულ და პერსონალურ შეზღუდვებთან გამკლავება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით; „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით“ განსაზღვრული შეფასების სისტემით, რომელიც გულისხმობს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი –მაქსიმალური შეფასების 91–100ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის სემესტრულ შეფასებას განსაზღვრავს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამი და შეადგენს 100 ქულას.

საბოლოო შეფასება ითვალისწინებს ორ შემადგენელ ელემენტს - შუალედურ და დასკვნითი შეფასებებს. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში, რომელსაც თავად განსაზღვრავს პედაგოგი (1)70/30 ან (2) 60/40), რაც იმას ნიშნავს რომ პირველ შემთხვევაში შუალედური შეფასება მოიცავს საბოლოო შეფასების 70%, ხოლო დასკვნითი შეფასება 30%, მეორე შემთხვევაში, შუალედურ შეფასებას ეთმობა მთლიანი შეფასების 60%, ხოლო დასკვნითს 40%.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად (შუალედური გამოცდა, აქტიურობა სემინარზე/პრაქტიკულზე, პრეზენტაცია, ქვიზი, სიტუაციური ამოცანები, ესსე, და ა.შ) ამ კომპო- ნენტების შეფასების პროცენტულ მაჩვენებელს საგნის პედაგოგი საზღვრავს თავად გარდა შუალედური გამოცდისა, რომელიც წარმოადგენს შუალედური შეფასების აუცილებელ კომპონენტს (გამონაკლის წარმოადგენს კლინიკური უნარებისა და კლინიკაში პრაქტიკის შეფასება) და მისი პროცენტული მაჩვენებელი (1)70/30- შემთხვევაში უნდა იყოს 35 ქულა, ხოლო (2) 60/40)- შემთხვევაში 30 ქულა.

შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა დასკვნითი გამოცდაზე გასვლის არის შუალედური შეფასების მინიმუმ 50%.

დასკვნითი გამოცდა, დასკვნითი შეფასების აუცილებელი პირობაა. დასკვნითი გამოცდის გადალახვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%+1-ია, ნაკლების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შეფასება ნულდება და თუ სტუდენტის ქულა 41-50 ქულამდე მერყეობს, მას ეძლევა დასკვნითი გამოცდის გადაბარების უფლება, ხოლო თუ სტუდენტის ქულა ნაკლებია 41-ზე, ის ვალდებულია საგანი ხელმეორედ გაიაროს. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტის შუალედური შეფასება ტოლია ან მეტია 51 ქულის, სტუდენტი ვალდებულია დასკვნითი გამოცდაზე გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში საგანი ჩაბარებულად არ ჩაითვლება.

სტუდენტს უფლება აქვს დამატებითი გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ. შეფასების კომპონენტებს კურსის ხელმძღვანელი ირჩევს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს უმცროს ექიმად, რომელიც ასრულებს ექიმის ფუნქციას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სუბიექტის მითითებითა და პასუხისმგებლობით (საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ მ.5). საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს: ა) გაიაროს რეზიდენტურის კურსი (საქართველოში ან საზღვარგარეთ ექვივალენტურ პროფესიულ პროგრამაზე, რომელიც აღიარებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით) და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერთი-ფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება (საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ მ.17). ბ) გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში, დაკავდეს პედაგოგიური ანდა სამეცნიერო საქმიანობით. გ) დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროს ორგანიზაციებში, რომელიც არ მოითხოვს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას. კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ მ.5). საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს: ა) გაიაროს რეზიდენტურის კურსი (საქართველოში ან საზღვარგარეთ ექვივალენტურ პროფესიულ პროგრამაზე, რომელიც აღიარებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით) და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერთი-ფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება (საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ მ.17). ბ) გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში, დაკავდეს პედაგოგიური ანდა სამეცნიერო საქმიანობით. გ) დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროს ორგანიზაციებში, რომელიც არ მოითხოვს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას.

პროგრამის სახელწოდება: სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი

საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ხათუნა ტვილდიანი

პროგრამის მოცულობა კრედიტებში - 300კრედიტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - დიპლომირებული სტომატოლოგი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება ეძლევა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის

მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც გაივლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას, აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირებს უნივერსიტეტის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქის ქართული ენის ცოდნის კომპეტენციის დონის დასადგენად ორგანიზებული გამოცდის (რომელიც მოიცავს: მოსმენას, წაკითხული ტექსტის გააზრებასა და ანალიზს, საუბარს) შედეგად დადასტურებული ცოდნის (B1 დონე) ან ქართული ენის B1 დონის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად

სწავლების ენა - ქართული

პროგრამის მიზანია პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულთა სტომატოლოგიური პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება, რაც გულისხმობს დარგის თეორიული საფუძვლების ცოდნასა და კლინიკური უნარ-ჩვევების ფლობას. შეისწავლის კბილებისა და ღრძილების დაავადებებისა და დარღვევების დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პრევენციას. ასევე, შეისწავლის კბილის პროთეზებისა და ორთოდონტული მოწყობილობის შემუშავებას, გაკეთებასა და შეკეთებას. ასევე მოიცავს კბილის ექიმის ასისტირების შესწავლასაც.

პროგრამის მიზანია აღზარდოს კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე დიპლომირებული სტომატოლოგები, რომლებიც შეძლებენ შემდგომ პროფესიულ განვითარებას, კერძოდ, რეზიდენტურაში სწავლის გაგრძელებას, რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადება) კურსის გავლას, უმცროს ექიმად მუშაობას ან კვლევითი საქმიანობის განხორციელებას მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროებში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საქმიანობას. სტომატოლოგიის პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას.

პროგრამა მიმართულია: მისცეს კურსდამთავრებულს დარგობრივ სფეროში სამედიცინო პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი საბაზისო, კლინიკური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების საფუძვლების ცოდნა; გამოუმუშავოს ზოგადი კლინიკური უნარ-ჩვევები; მისცეს დარგის მეთოდოლოგიისა და პროფესიული ეთიკის ცოდნა; მისცეს სტომატოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკის; სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის ცოდნა და პრაქტიკულად გამოყენების უნარი; სტომატოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის პრინციპების ცოდნა. გამოუმუშავოს უწყვეტი სამედიცინო განათლების მოტივაცია; გამოუმუშავოს დამოუკიდებლად სამედიცინო ინფორმაციის მოპოვების და კრიტიკულად შეფასების უნარი; გამოუმუშავოს მომავალ ექიმებს პაციენტის პატივისცემა, მათი ინტერესების გათვალისწინების უნარი მიუხედავად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური კუთვნილებისა; უზრუნველყოს სამედიცინო კადრების მზადება თანამედროვე სამეცნიერო ცოდნისა და ტექნოლოგიური წინსვლის შესაბამისი სამედიცინო განათლებით.

სწავლის შედეგი -კურსდამთავრებულს ეცოდინება: ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე

ბიოქიმიური პროცესები, ბიო ნაერთები, კლასიფიკაცია და მეტაბოლიზმი; ნივთიერებათა ცვლის პროცესები და ციკლები ადამიანის ორგანიზმში; პირის ღრუს ორგანოთა და კბილების ემბრიოლოგია, ანატომია, პათოლოგიური ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომია, ფიზიოლოგია, პათოლოგიური ფიზიოლოგია. ბავშვებისა და მოზრდილთა ყბა-სახის მიდამოს

ანთებადი და არაანთებადი, მაგარი და რბილი ქსოვილის, სიმსივნური დაავადებების, ორთოპედიული და ტრავმული დაზიანებების, სახის მიდამოს პერიფერიული ნერვული სისტემის, სპეციფიური, ინფექციური, ალერგიული და სისტემური დაავადებების ფონზე მიმდინარე ცვლილებები, კლასიფიკაცია, კლინიკური მიმდინარეობა, დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა; კონსერვატიული და ქირურგიული მკურნალობის მეთოდები; ბავშვთა ასაკში კბილების რესტავრაცია და სარესტავრაციო მასალების კლასიფიკაცია; ორთოდონტია, ყბა-კბილთა სისტემის ანომალიები და ბავშვთა პროთეზირება. ბავშვთა და მოზრდილთა სტომატოლოგიური სამსახური და დაავადებათა პროფილაქტიკა; ჰიგიენური ღონისძიებები; ძირითადი თერაპიული და ქირურგიული დაავადებების ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკური მიმდინარეობა და მკურნალობის მეთოდები.

კურსდამთავრებულს შეეძლება: ავადმყოფის გამოკვლევა, პირის ღრუს პათოლოგიების დიფერენცირება; დაზიანებების ხარისხის განსაზღვრა; ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარება; ფუნქციური სინჯებისა და მეთოდთა ჩატარება ჩვენების მიხედვით. კარიესული და არაკარიესული დაავადებების დიაგნოსტიკა და სამკურნალო სქემის შემუშავება; საბჟენ- სარესტავრაციო მასალათა შერჩევა, დამზადება და დაბჟენა ფანტომებზე, ექიმის ასისტირება. პროთეზირებისათვის მომზადება და მასალების შერჩევა; ანაბეჭდის აღება, საპროთეზო მოდელების დამზადება; თერაპიული და ქირურგიული ავადმყოფების გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დიფ. დიაგნოზის ჩატარება და დიაგნოსტიკა; სამკურნალო და პროფილაქტიკური მანიპულაციების ჩატარება. პაციენტის ფსიქოლოგიური და ქცევითი თავისებურებების გათვალისწინებით მასთან ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია. მონაცემების შეგროვება და ინტეგრირება, ანალიზი, არგუმენტირებული დასკვნის გამოტანა. საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და პროფესიული კუთხით გამოყენება. მიღებული ცოდნისა და გამოცდილების რეალიზაციის უნარი ახალ გარემოში.

პროგრამის სტრუქტურა.

საგანმანათლებლო პროგრამა სტომატოლოგიაში არის 5 წლიანი, შედგება ათი სემესტრისაგან. სწავლება ხუთი წლის განმავლობაში მოიცავს 300 კრედიტს.

აღნიშნული 300 კრედიტიდან 286 კრედიტი არის სავალდებულო, ხოლო 14 კრედიტი არის თავისუფალი არჩევითი კურსების.

1. საბაზისო სავალდებულო კურსები - 64 კრედიტი ;
2. სტომატოლოგიის საფანტომო სავალდებულო კურსები - 44 კრედიტი;
